პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

მსოფლიო პრაქტიკა

მარტი / 2023

მთავარი სიახლეები

კანადის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ (“OPC”) თინეიჯერებისთვის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საკითხებთან დაკავშირებით რეკომენდაციები გამოაქვეყნა

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება მონაცემთა დაცვის ოფიცრის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

უნგრეთში საგადასახადო მოვალეთა შესახებ მონაცემების სისტემატურმა გამოქვეყნებამ ევროპული კონვენციის დარღვევა გამოიწვია

ბრიუსელში საჯარო სივრცეებში სახის ამომცნობი კამერების აკრძალვის შესახებ პეტიცია შედგა

უნგრეთში საგადასახადო მოვალეთა შესახებ მონაცემების სისტემატურმა გამოქვეყნებამ ევროპული კონვენციის დარღვევა გამოიწვია

09.03.2023

ფოტო: www.coe.int

ფაქტობრივი გარემოებები

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2023 წლის 9 მარტს საქმეზე - *L.B. v. Hungary [GC] (საჩივრის №36345/16)* გადაწყვეტილება გამოაქვეყნა. საქმის გარემოებების მიხედვით, „საგადასახადო ადმინისტრირების შესახებ“ 2003 წლის კანონის შესაბამისად, ეროვნულმა საგადასახადო და საბაჟო ორგანომ მომჩივნის პერსონალური მონაცემები (მათ შორის, სახელი და საცხოვრებელი მისამართი) ვებგვერდზე გამოაქვეყნა. ინფორმაცია, თავდაპირველად, გადასახადების „ურჩ გადამხდელთა სიაში“, ხოლო, შემდგომში, „მსხვილი საგადასახადო მოვალეების სიაში“ გამოქვეყნდა. საგადასახადო რეგულაციების შეუსრულებლობასთან ბრძოლის ინსტრუმენტად საგადასახადო მოვალეების პერსონალური მონაცემების სისტემატური და გამოქვეყნების ვალდებულება ვრცელდებოდა გადასახადის იმ გადამხდელზე, რომელსაც დავალიანება კვარტლის ბოლოს 10 მილიონზე მეტი უნგრული ფორინტის ოდენობით (დაახლოებით 28 000 ევრო), 180 კალენდარულ დღეზე მეტი დროის განმავლობაში ჰქონდა.

საქმეზე ევროპული სასამართლოს 2021 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებით არ დადგინდა მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის გარემოებების მიხედვით, მომჩივნის პერსონალური მონაცემების გასაჯაროება სახელმწიფოს ლეგიტიმური ინტერესებისთვის იყო აუცილებელი. 2021 წლის 31 მაისს საქმე მომჩივნის მოთხოვნით დიდ პალატას გადაეცა.

ფოტო: www.echr.coe.int

ევროპული სასამართლოს დიდი პალატის მიერ საქმის განხილვის ფარგლები

დიდი პალატის მიერ საქმის განხილვის ფარგლებში შედიოდა მომჩივნის პერსონალური მონაცემების მეორედ გამოქვეყნება „მსხვილი საგადასახადო მოვალეების სიაში“, რადგან გადასახადების „ურჩი გადამხდელების სიაში“ პირველ პუბლიკაციასთან დაკავშირებით ევროპულ სასამართლოში

გასაჩივრების ექვსთვიანი ვადა გასული იყო.

კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით სასამართლოს შეფასება

❶ *დაცულ სფეროში ჩარევა*

მე-8 მუხლის შესახებ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო საგადასახადო ორგანოს მიერ მომჩივნის სახელისა და საცხოვრებელი მისამართის დამუშავება და გამოქვეყნება, ამ უკანასკნელის პირადი ცხოვრების ფარგლებში ექცეოდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მონაცემები უნგრეთის კანონმდებლობის მიხედვით, საჯარო ინტერესის მქონე ინფორმაციად კლასიფიცირდებოდა, მასზე პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები ვრცელდებოდა. უფრო მეტიც, შესაძლებელია, „მსხვილი საგადასახადო მოვალეების სიაში“ პირის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას არსებითად უარყოფითი შედეგები არ ჰქონდა, თუმცა ვერ გამოირიცხებოდა გარკვეული ნეგატიური გავლენა. შესაბამისად, მონაცემთა დამუშავება შესაძლოა, მიჩნეული ყოფილიყო მომჩივნის პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაში ჩარევად.

❷ *კანონიერება*

დაცულ სფეროში ზემოაღნიშნული ჩარევა განხორციელდა „კანონის შესაბამისად“, კერძოდ, 2003 წლის „საგადასახადო ადმინისტრირების შესახებ“ კანონის 55-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე (§107).

❸ *ლეგიტიმური მიზანი*

უპირველეს ყოვლისა, მსხვილი საგადასახადო მოვალეების მონაცემების საჯაროდ გამჟღავნება „ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებს“ ემსახურებოდა. ღონისძიება, მისი შემაკავებელი ეფექტის მეშვეობით, მიზნად ისახავდა საგადასახადო დისციპლინის გაუმჯობესებას და შესაძლოა, ზემოხსენებული მიზნის მიღწევის საშუალებაც ყოფილიყო. ამასთანავე, იგი ემსახურებოდა საქმიანი ურთიერთობების გამჭვირვალობასა და სანდოობას და ამით „სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას“. აღნიშნულის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ღონისძიებას გააჩნდა ლეგიტიმური მიზნები კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით (§114).

❹ *აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში*

a) წინასწარი შენიშვნები

განსახილველ საქმეში მთავარ საკითხს წარმოადგენდა, იყო თუ არა ბალანსი სწორად დაცული შემდეგ ინტერესებს შორის: ერთი მხრივ, საგადასახადო წესრიგისა და ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფის საჯარო, ასევე, პოტენციური ბიზნესპარტნიორების ინტერესები, ხოლო, მეორე მხრივ, კერძო პირების ინტერესები სახელმწიფოს მიერ გადასახადების აკრეფის მიზნით დამუშავებული მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით (§116).

სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ მონაცემთა სადავო გამოქვეყნების ფაქტი საგადასახადო ორგანოს ინდივიდუალური

შეფასების საკითხს არ წარმოადგენდა, თუმცა ექცეოდა საკანონმდებლო ორგანოს მიერ შემუშავებული სისტემის ფარგლებში. აღნიშნული წესი ვრცელდებოდა გადასახადის ყველა გადამხდელზე, რომელსაც კვარტლის ბოლოს ჰქონდა დიდი ოდენობით გადაუხდელი ვალი 180 კალენდარულ დღეზე მეტი დროის განმავლობაში. სისტემა ითვალისწინებდა მოვალეთა სახელების, საცხოვრებელი მისამართების, რეგისტრირებული ოფისების, საქმიანობის ადგილებისა და საგადასახადო საიდენტიფიკაციო ნომრების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო უფლებამოსილია, კონვენციის შესაბამისად, მიიღოს ზოგადი ღონისძიებები, რომლებიც ვრცელდება წინასწარ განსაზღვრულ სიტუაციებზე, თითოეული საქმის კონკრეტული ფაქტების მიუხედავად, მაშინაც კი, თუ აღნიშნულმა შეიძლება, ცალკეულ შემთხვევებში მძიმე შედეგები გამოიწვიოს. შესაბამისად, სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ შეესწავლა, დაპირისპირებული საჯარო და კერძო ინტერესების გათვალისწინებით, ექცეოდა თუ არა არსებული საგადასახადო სისტემა სახელმწიფოს თავისუფალი შეფასების ფარგლებში (§117).

b) თავისუფალი შეფასების ფარგლების მოქმედება

სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოები სარგებლობენ თავისუფალი შეფასების ფართო ფარგლებით, როდესაც განსაზღვრავენ იმ გადამხდელთა პერსონალური მონაცემების გავრცელების სისტემის შექმნის აუცილებლობას, რომლებიც არ ასრულებენ საგადასახადო ვალდებულებებს. თუმცა, სახელმწიფოთა დისკრეცია ამ სფეროში არ არის შეუზღუდავი. შესაბამისად, სასამართლო უნდა დარწმუნებულიყო, რომ კომპეტენტურმა შიდასახელმწიფოებრივმა ორგანოებმა, საკანონმდებლო, აღმასრულებელ თუ სასამართლო დონეზე, სულ მცირე, არსებითად დააბალანსეს დაპირისპირებული ინტერესები და გაითვალისწინეს შემდეგი:

(i) საჯარო ინტერესი განსახილველი ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით;
(ii) გამჟღავნებული ინფორმაციის ბუნება;
(iii) დაინტერესებული პირების პირადი ცხოვრებით სარგებლობაზე გავლენა და ზიანის მიყენების რისკი;
(iv) ინფორმაციის გავრცელებისთვის გამოყენებულ საშუალებაზე, კერძოდ, ინტერნეტზე, პოტენციური წვდომა;
(v) მონაცემთა დაცვის ძირითადი პრინციპები, მათ შორის, მიზნის შეზღუდვა, ვადების შეზღუდვა, მონაცემთა მინიმიზაცია და მონაცემთა სიზუსტე. ამასთან დაკავშირებით, პროცედურული გარანტიების არსებობა ასევე მნიშვნელოვანია.

შესაბამისად, განსახილველ საქმეში სასამართლომ შეისწავლა, ლეგიტიმური მიზნების მიღწევის საშუალებების არჩევისას, მოქმედებდნენ თუ არა ეროვნული ორგანოები საკუთარი თავისუფალი შეფასების ფარგლებში (§128).

5 *პრინციპების მისადაგება წინამდებარე საქმის გარემოებებთან*

მონაცემთა სავალდებულო გამოქვეყნების სისტემის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ უნგრეთის საგადასახადო ორგანოს გადასახადის გადამხდელთა პერსონალური მონაცემების გამოქვეყნების საჭიროების შემოწმების დისკრეცია არ გააჩნდა. ინდივიდუალური გარემოებების არსებობისა თუ არარსებობის მიუხედავად, გამოქვეყნება სავალდებულო იყო და ნებისმიერი საგადასახადო მოვალე (რომელიც აკმაყოფილებდა „საგადასახადო ადმინისტრირების შესახებ“ კანონის 55-ე მუხლის მე-5 პუნქტში მოცემულ კრიტერიუმებს) სისტემატურად იდენტიფიცირდებოდა მისი სახელითა და საცხოვრებელი მისამართით, საგადასახადო ორგანოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ სიაში. ინფორმაცია გამოქვეყნებული იყო დავალიანების დაფარვამდე ან მისი აღსრულების ვადის გასვლამდე. ზემოაღნიშნული კანონით განსაზღვრული მონაცემთა გამოქვეყნების პოლიტიკა არ მოითხოვდა დაპირისპირებული ინდივიდუალური და საჯარო ინტერესების შეფარდებას ან საგადასახადო ორგანოს მხრიდან პროპორციულობის ინდივიდუალურად შეფასებას.

ამგვარი ზოგადი სისტემის არჩევა და გადასახადის გადამხდელთა მონაცემების გამოქვეყნება თავისთავად არ იყო პრობლემური. თუმცა, სასამართლოს უნდა შეეფასებინა საკანონმდებლო არჩევანი, რაც სადავო ჩარევის საფუძველს წარმოადგენდა, ასევე, უნდა დაედგინა, თუ რამდენად დააბალანსა კანონმდებელმა დაპირისპირებული ინტერესები. ამ კონტექსტში, ზოგადი ღონისძიების პროპორციულობის შეფასებისას ჩარევის აუცილებლობის თაობაზე საპარლამენტო შემოწმების ხარისხს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ამასთანავე, მთავარ საკითხს წარმოადგენდა, არა ის, უნდა ყოფილიყო თუ არა მიღებული ნაკლებად შემზღუდავი წესები, არამედ მოქმედებდა თუ არა კანონმდებელი იმ თავისუფალი შეფასების ფარგლებში.

შესაძლოა, აღნიშნული სიის გამოქვეყნება ექცეოდა საჯარო ინტერესის სფეროში, თუმცა პარლამენტმა არ შეაფასა, პერსონალური მონაცემების შეგროვების თავდაპირველი მიზნის მისაღწევად, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესის ფარგლებში, სადავო მონაცემების (კერძოდ, საგადასახადო მოვალის საცხოვრებელი მისამართის) დამუშავების საჭიროება. ასეთი ინფორმაციის სენსიტიურობის გათვალისწინებით, შესაბამისი საპარლამენტო განხილვა მნიშვნელოვანი იყო.

კანონმდებლის განზრახვა საგადასახადო შესაბამისობის გაძლიერებასთან დაკავშირებით და ასევე ის ფაქტი, რომ გადასახადის გადამხდელის საცხოვრებელი მისამართის დამატება უზრუნველყოფდა გამოქვეყნებული ინფორმაციის სიზუსტეს, სასამართლოსთვის მისაღები იყო. მიუხედავად ამისა, არ ჩანდა, რომ კანონმდებელმა განიზრახა მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპის გათვალისწინებით, სათანადო ღონისძიებების მიღება.

შესაბამისად, გადამხდელთა მონაცემების, მათ შორის, საცხოვრებელი მისამართების, სისტემატური გამოქვეყნების გათვალისწინებით და მოპასუხე სახელმწიფოს თავისუფალი შეფასების

ფარგლების მიუხედავად, სასამართლო არ დაეთანხმა, რომ უნგრეთის საკანონმდებლო ორგანოს მიერ ზემოაღნიშნული აქტით დადგენილი წესი იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ და რომ მოპასუხე სახელმწიფომ დაიცვა სამართლიანი ბალანსი დაპირისპირებულ ინტერესებს შორის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმეზე მე-8 მუხლის დარღვევა დადგინდა.

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება მონაცემთა დაცვის ოფიცრის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

09.02.2023

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) საქმეზე C-453/21, განიხილა მონაცემთა დაცვის ოფიცრის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები, კერძოდ ინტერესთა კონფლიქტისა და სხვა დასაბუთებული მიზეზის არსებობა.

მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის 39-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ხ” ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემთა დაცვის ოფიცრის მოვალეობებია “GDPR”-თან, ევროკავშირის კანონმდებლობის სხვა დებულებებთან ან მონაცემთა დაცვის შესახებ არსებულ ეროვნულ კანონმდებლობასთან მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების შესაბამისობის დადგენა, მათ შორის, პასუხისმგებლობის განაწილებით, ცნობიერების ამაღლებით, მონაცემთა დამუშავების პროცესში ჩართული პერსონალის გადამზადებითა და შესაბამისი აუდიტის ჩატარებით.

ფოტო: european-union.europa.eu

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ განმარტა, რომ:

- მონაცემთა დაცვის ოფიცრებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, დამოუკიდებლად შეასრულონ საკუთარი მოვალეობები და ამოცანები;
- არ შეიძლება, დაეკისროთ დავალებები ან ვალდებულებები, რომლთა შედეგად, მათ მოუწევთ, განსაზღვრონ პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნები და მეთოდები მონაცემთა დამმუშავებლის ან მისი უფლებამოსილი პირის ნაცვლად.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, დამმუშავებლის მიერ იდენტიფიცირებული ინტერესთა კონფლიქტის თეორიული რისკის გამო მონაცემთა დაცვის ოფიცერი გაათავისუფლეს. კერძოდ, იგი ერთდროულად ასრულებდა მონაცემთა დაცვის ოფიცრისა და სამუშაო საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციებს. მონაცემთა დამმუშავებელი ამტკიცებდა, რომ აღნიშნული ორი თანამდებობა ერთმანეთთან შეუთავსებელი იყო.

თანამდებობის შესანარჩუნებლად, მონაცემთა დაცვის ოფიცერმა სარჩელით მიმართა სასამართლოს. წინასწარი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ეროვნულმა სასამართლომ საკითხი ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადასცა.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ გადაწყვეტილების დასაბუთებისას ყურადღება შემდეგ საკითხებზე გაამახვილა:

- მონაცემთა დაცვის ოფიცრის თანამდებობიდან გათავისუფლების დასაბუთებული მიზეზები;
- ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები მონაცემთა დაცვის ოფიცრის მიერ სხვა მოვალეობების განხორციელებისას.

მონაცემთა დაცვის ოფიცრის თანამდებობიდან გათავისუფლების დასაბუთებული მიზეზები

"GDPR"-ის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ მონაცემთა დაცვის ოფიცერი მონაცემთა დამმუშავებელმა ან მისმა უფლებამოსილმა პირმა არ უნდა დაითხოვოს სამსახურიდან ან დასაჯოს მისი ამოცანების შესრულებისთვის.

საქმეში Leistritz, C-534/20, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ უკვე განმარტა, რომ ოფიცრის თანამდებობიდან გათავისუფლების ან მისი რაიმე სახით დასჯის აკრძალვა ნიშნავს ოფიცრის დაცვას მისი მოვალეობის შესრულების შეწყვეტის შესახებ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილებისგან. სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ აღნიშნული მოთხოვნა განურჩევლად ეხება როგორც პერსონალის წევრ მონაცემთა დაცვის ოფიცრებს, ისე — მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულებს.

სასამართლოს განმარტებით, თითოეულ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, საკუთარი კომპეტენციის განხორციელებისას დააწესოს მონაცემთა დაცვის ოფიცრის გათავისუფლებისგან დაცვის უფრო მაღალი სტანდარტი, თუ აღნიშნული დებულებები თავსებადი იქნება ევროკავშირის კანონმდებლობასთან, კერძოდ, "GDPR"-თან.

შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ "GDPR"-ის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტი არ გამორიცხავს, რომ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, მონაცემთა დამმუშავებელს ან უფლებამოსილ პირს შეეძლოს, თანამდებობიდან გაათავისუფლოს მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც არის ამ დამმუშავებლის ან მისი უფლებამოსილი პირის პერსონალის წევრი.

ოფიცრის თანამდებობიდან გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ სამართლიანი საფუძვლით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირის სამსახურიდან გათავისუფლება არ უკავშირდება მისთვის დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას. თუმცა ასეთი რეგულირება საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს "GDPR"-ის მიზნებს.

ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები მონაცემთა დაცვის ოფიცრის მიერ სხვა მოვალეობების განხორციელებისას

"GDPR"-ის 38-ე მუხლის მე-6 პუნქტი ადგენს, რომ მონაცემთა დაცვის ოფიცერს შეუძლია, შეასრულოს სხვა ამოცანები და მოვალეობები. მონაცემთა დამმუშავებელმა ან უფლებამოსილმა პირმა უნდა

უზრუნველყოს, რომ ნებისმიერმა ასეთმა დავალებამ და მოვალეობამ არ გამოიწვიოს ინტერესთა კონფლიქტი ოფიცრის ფუნქციებთან. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, ოფიცერს არ შეიძლება, დაევალოს ისეთი ამოცანების ან მოვალეობების შესრულება, რამაც შეიძლება, შეაფერხოს მის მიერ შესასრულებელი ფუნქციების განხორციელება.

ფოტო: gdprsummary.com

შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება, არსებობდეს ისეთ შემთხვევაში, როდესაც ოფიცერს ევალება სხვა ამოცანების ან მოვალეობების შესრულება, რაც გამოიწვევს მონაცემთა დამმუშავებლის ან მისი უფლებამოსილი პირის სახელით პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნებისა და მეთოდების განსაზღვრას მონაცემთა დაცვის ოფიცრის მიერ. კონკრეტულ შემთხვევაში მონაცემთა დაცვის ოფიცრისთვის სხვა მოვალეობების დაკისრება რამდენად გამოიწვევს ინტერესთა კონფლიქტს, უნდა დადგინდეს საქმის გარემოებებიდან გამომდინარე. კერძოდ, უნდა შეფასდეს:

- მონაცემთა დამმუშავებლის ან მისი უფლებამოსილი პირის ორგანიზაციული სტრუქტურა;
- ყველა მოქმედი წესი, მათ შორის, მონაცემთა დამმუშავებლის ან მისი უფლებამოსილი პირის ორგანიზაციული პოლიტიკა.

მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ (“EDPB”) განაახლა სახელმძღვანელო პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის შესახებ შეტყობინებასთან დაკავშირებით

28.03.2023

მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ (“EDPB”) გამოაქვეყნა სახელმძღვანელო 9/2022-ის 2.0. ვერსია — პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის შესახებ შეტყობინებასთან დაკავშირებით. სახელმძღვანელოს აღნიშნული ვერსია, “EDPB”-მ 2023 წლის 28 მარტს მიზნობრივი საჯარო კონსულტაციების შემდეგ მიიღო. სახელმძღვანელოს ბოლო ვერსიამ განაახლა 2022 წლის ოქტომბერში მიღებული ბოლო რედაქცია (1.0. ვერსია).

ფოტო: edpb.europa.eu

სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ “EDPB”-ის მიერ მიღებული დოკუმენტი არის 29-ე სამუშაო ჯგუფის სახელმძღვანელოს განახლებული ვერსია, რომელიც დამტკიცდა პირველ პლენარულ სხდომაზე. სახელმძღვანელოში მითითებულია, რომ “EDPB”-მ მიზანშეწონილად მიიჩნია, განემარტა მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის (ინციდენტის) შესახებ საზედამხედველო ორგანოსთვის შეტყობინების ვალდებულება ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში დაარსებული დაწესებულებებისთვის. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული პუნქტი გადაიხედა და განახლდა, ხოლო სახელმძღვანელოს დანარჩენი ნაწილი უცვლელი დარჩა, განხორციელდა მხოლოდ სარედაქციო ცვლილებები.



ფოტო: bankinfosecurity.com

ნაწილობრივ შეიცვალა სახელმძღვანელოს 73-ე პუნქტი, რომლის მიხედვით დადგინდა, რომ „წევრ სახელმწიფოში წარმომადგენლის ყოლა არ გულისხმობს ერთი ფანჯრის სისტემის გამოყენებას. ინციდენტის შესახებ უნდა ეცნობოს ყველა საზედამხედველო ორგანოს, რომლის იურისდიქციას დაქვემდებარებულ მონაცემთა სუბიექტებსაც (ევროკავშირის წევრ იმავე სახელმწიფოში მცხოვრები პირები, რომელშიც საქმიანობას მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო ახორციელებს) შეეხო მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა. შეტყობინების ვალდებულება ეკისრება მონაცემთა დამმუშავებელს.“ 73-ე პუნქტის ბოლო ნაწილი ცვლის სახელმძღვანელოს წინა ვერსიას, რომელიც ნათლად ადგენდა, რომ შეტყობინება განხორციელდებოდა „მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისი წარმომადგენლისთვის მიცემული მანდატის შესაბამისად და მონაცემთა დამმუშავებლის პასუხისმგებლობით.“

“EDPB”-მ დამატებით დაადგინა, რომ ევროკავშირში წარმომადგენლის ფუნქცია „არ არის თავსებადი მონაცემთა დაცვის გარე ოფიცრის (DPO) როლთან. შესაბამისად, ვალდებულება, ეცნობოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის ინციდენტის შესახებ, რჩება მონაცემთა დამმუშავებლის პასუხისმგებლობად, “GDPR”-ის 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად. თუმცა, წარმომადგენელი შეიძლება ჩაერთოს შეტყობინების განხორციელების პროცესში, თუ ეს ცალსახად არის გათვალისწინებული მისთვის მინიჭებული წერილობითი მანდატით“.

კანადის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ (“OPC”) თინეიჯერებისთვის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საკითხებთან დაკავშირებით რეკომენდაციები გამოაქვეყნა

17.03.2023

Office of the Privacy Commissioner of Canada

ფოტო: priv.gc.ca

2021 წლის 3 მარტს, კანადის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ (“OPC”) პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, კერძოდ, სექსუალური შინაარსის მიმოწერის თაობაზე რეკომენდაციები გამოაქვეყნა.

შემუშავებული დოკუმენტის თანახმად, ციფრულ სივრცეში ინფორმაციის გაზიარებით თინეიჯერები, განსაკუთრებით კი სექსუალური შინაარსის კორესპონდენციის („სექსტინგი“) განხორციელებისას, კარგავენ კონტროლს საკუთარ პერსონალურ მონაცემებზე. ამგვარი კორესპონდენცია, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის თვალსაზრისით, არაერთ რისკს წარმოშობს. “OPC”-ს განმარტებით, სხვა პირისათვის ინტიმური ფოტოსურათების გაგზავნა შეიძლება გაუტოლდეს მათ საჯაროდ გამოქვეყნებას, მიუხედავად ადრესატის სანდოობისა.

შემუშავებულ რეკომენდაციებში, ასევე, მითითებულია, რომ ყოველთვის არსებობს გაგზავნილი ინტიმური შინაარსის ინფორმაციის (მიმოწერა, სურათები) გავრცელების რისკი. მაგალითად, ფოტოსურათების გაგზავნის მომენტიდან შეიძლება მათი: კოპირება ან სხვადასხვა ვებგვერდზე განთავსება; მყარ დისკზე ჩაწერა; ელექტრონული ფოსტის მეშვეობით სხვა პირებისთვის გაზიარება. ყოველივე აღნიშნულის შედეგად, შეიძლება, პირს მიადგეს ემოციური სტრესი და შეელახოს რეპუტაცია. აღნიშნულთან მიმართებით “OPC”-მ დამატებით აღნიშნა, რომ საწყის ეტაპზე შეიძლება ინფორმაციის მიმღები იყოს სანდო და შემდგომ, არ გაამართლოს მოლოდინები.

ფოტო: freepik.com

“OPC”-მ დოკუმენტში მაგალითად მოიყვანა კანადაში მცხოვრები თინეიჯერი გოგონა, რომელსაც აშანტაჟებდა მამაკაცი მისი ინტიმური ფოტოების ხელში ჩაგდების შემდეგ. აღნიშნულმა პირმა გოგონას ფოტოსურათები ონლაინ სივრცეში ატვირთა და გაუზიარა მოზარდის თანაკლასელებს. ყოველივე აღნიშნულმა თინეიჯერ გოგონას ფსიქოლოგიური სტრესი მიაყენა და იძულებული გახადა სკოლა არაერთხელ შეეცვალა.

წარმოდგენილი გარემოებების გათვალისწინებით, “OPC” მიმართავს თინეიჯერებს სექსუალური შინაარსის

მიმოწერის დროს გასათვალისწინებელი შემდეგი რჩევებით:

- თუ გსურთ, რომ შეამციროთ თქვენი ფოტოსურათების გავრცელების რისკები, არ გადაიღოთ ისინი, რადგან არსებობს ციფრულ მოწყობილობაში უნებართვო შეღწევის საფრთხე;
- არასდროს იმოქმედოთ თქვენი ნების საწინააღმდეგოდ. ასევე, არ აიძულოთ სხვა, რომ გამოგიგზავნოთ ინტიმური ფოტოსურათები;
- თუ გამოგიგზავნიან ინტიმურ ფოტოსურათს, არ გაუზიაროთ სხვას, არამედ წაშალეთ, რათა ხელი არ შეუწყოთ მის შემდგომ გავრცელებას;
- თუ გამოგიგზავნიან სექსუალური შინაარსის ინფორმაციას, უთხარით აღნიშნულის შესახებ ზრდასრულ, სანდო პირს;
- ფოტოსურათის გაზიარებამდე ყოველთვის მიიღეთ თანხმობა იმ პირისგან, რომლის გამოსახულებაცაა მასზე აღბეჭდილი;
- ნებისმიერი სახის მუქარა/შანტაჟი ეწინააღმდეგება კანონს. მტკიცებულების სახით შეინახეთ მუქარის/შანტაჟის დამადასტუ-რებელი მიმოწერა და უამბეთ აღნიშნულის შესახებ სანდო პირებს.

ბრიუსელში საჯარო სივრცეებში სახის ამომცნობი კამერების აკრძალვის შესახებ პეტიცია შედგა

15.03.2023



ფოტო: shutterstock.com

უფლებადამცველი ორგანიზაციების ინიციატივით, ბრიუსელში შედგა პეტიცია საჯარო სივრცეებში სახის ამომცნობი კამერების აკრძალვის შესახებ და აღნიშნული საკითხი განიხილება ბელგიის პარლამენტში.

პეტიციის ინიციატორების მოსაზრებით, სახის ამომცნობი ტექნოლოგიის ლეგალიზაცია და გამოყენება საფრთხეს უქმნის ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებას, განსაკუთრებით კი, ზღუდავს უმცირესობათა ჯგუფების უფლებრივ მდგომარეობას, რამდენადაც აღნიშნული ტექნოლოგია მონაცემთა ბაზებში შენახული ბიომეტრიული მონაცემების საფუძველზე (როგორიცაა თვალებსა და ცხვირს შორის მანძილის გაზომვა) იძლევა ხალხმრავალ ადგილებში პირთა იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

უფლებადამცველი ორგანიზაციების კოალიცია, ასევე, შეძრწუნებულია იმით, რომ ისრაელში დაფუძნებული ერთ-ერთი კომპანია (“BriefCam”) ყიდის პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელშიც ინტეგრირებულია სახის ამოცნობის

ფუნქცია და ამ პროდუქტს შეუძლია, ამოიცნოს, აკონტროლოს და შეაგროვოს მონაცემი მოძრავი ობიექტებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ბელგიაში მსგავსი ტექნოლოგია ლეგალიზებული არ არის, პოლიცია და სხვა სამთავრობო უწყებები მაინც ცდილობენ მის გამოყენებას. აღნიშნული კი ხელყოფს როგორც კონფიდენციალობის, ანონიმურობის პრინციპებს, ისევე ადამიანთა თავისუფალი გადაადგილების, გაერთიანებისა და შეკრების უფლებებს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ორგანოები აძლიერებენ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ზედამხედველობას ევროპაში

21.02.2023

ფოტო: gdprbuzz.com

[პერსონალურ მონაცემთა დაცვის ევროპული საზედამხედველო ორგანოები ახორციელებენ სხვადასხვა ღონისძიებას, რათა დაიცვან ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებული რეგულაციები და უზრუნველყონ პერსონალურ მონაცემთა დაცვა.] კომპანიების მიერ ხელოვნური ინტელექტის იმგვარი მიზნებისათვის გამოყენების პირობებში, როგორიცაა: ადამიანური რესურსის ავტომატიზაცია, მომხმარებელთა მომსახურების ჩათბოტები და თაღლითობის პრევენციის ტექნოლოგია, სავალდებულოა მკაფიო სახელმძღვანელოს არსებობა.

ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა მარგრეტ ვესტაგერმა, განაცხადა, რომ ხელოვნური ინტელექტის მიმართ ნდობის შესაქმნელად ახალი რეგულაციები იქნება ინიცირებული. ახალი რეგულაციების თანახმად, ხელოვნური ინტელექტის სარისკოდ მიჩნეული იმგვარი გამოყენება, როგორიცაა — ბიომეტრიული იდენტიფიკაცია, მკაცრად იქნება მოწესრიგებული. არაეთიკური ხასიათის შეცდომების თავიდან ასარიდებლად, ინფორმაცია უნდა მიეწოდოთ ხელოვნური ინტელექტის პროდუქტების განვითარებაზე პასუხისმგებელ პირებს; გარდა ამისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოები ხელოვნური ინტელექტის შემუშავების საწყის ეტაპზევე უნდა იყვნენ ჩართულნი.

საფრანგეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ გასულ თვეში განაცხადა, რომ იგი ქმნის ხელოვნური ინტელექტის დამოუკიდებელ განყოფილებას, რომელიც დაკომპლექტდება ხუთი თანამშრომლით, რათა შეისწავლოს ტექნოლოგიის ბოროტად გამოყენების შესაძლო ფაქტები.

დიგიტალიზაციის საკითხებში ესპანეთის სახელმწიფო მდივანმა ასევე განაცხადა,

რომ მთავრობა შექმნის ახალ სააგენტოს, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს ხელოვნური ინტელექტის ფუნქციონირებას. ასევე, ჰოლანდიურმა მონაცემთა დაცვის მარეგულირებელმა შექმნა ხელოვნური ინტელექტის ზედამხედველობის განყოფილება, რომელიც სხვა მარეგულირებლებთან ერთად, შეისწავლის ხელოვნურ ინტელექტს, რათა თავიდან აირიდოს პერსონალურ მონაცემთა არაკანონიერი დამუშავება.

(+ 995 32) 242 1000
office@pdps.ge
www.pdps.ge